

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საქმიანობის მოკლე ანგარიში

2013 წელი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საქმიანობა 2013 წელს სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა:

შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია

განისაზღვრა თანამშრომლების უფლება-მოვალეობები, კონკურსის წესით შერჩეული იქნა გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტები, განისაზღვრა სათათბიროს ეფექტურად ფუნქციონირებისა და პროექტის შეფასების მექანიზმები, შეიქმნა სარეკომენდაციო საბჭო სადაც დარგობრივი ექსპერტები აფასებდნენ იდეის მდგრადობას, დაიხვეწა დოკუმენტბრუნვის სისტემა, მოხდა 2013 წლის პრიორიტეტების ფორმულირება. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ახალი ვებ-გვერდის შექმნა და ელექტრონული აპლიკაციის შემოღება რამაც გაამარტივა საპროექტო წინადადებების ფონდში წარმოდგენა.

2013 წელს განხორციელებული პროექტები

2013 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა სამი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. ფონდის ცნობადობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა კონკურსებით დაინტერესებულ ორგანიზაციათა რიცხვი. სამივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში სულ დაფინანსდა 60 პროექტი. დასაქმდა 700-ზე მეტი ახალგაზრდა, ხოლო პროექტებში ჩართული იყო 12 000-ზე მეტი ბენეფიციარი. პროექტები დაფინანსდა პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად.

მაგალითისთვის იხილეთ ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების ნაწილი:

ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა

სასწავლო ცენტრი ყოფილი მსჯავრდებულებისა და შშმ ახალგაზრდებისთვის

ორგანიზატორი: ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“

საკატორქოს ახალგაზრდული გაერთიანება „დავითიანის“ ორგანიზებით თბილისში შეიქმნა ხის სახელოსნო, სადაც ყოფილი მსჯავრდებულები, ასევე მეტყველება და სმენადაქვეითებული ახალგაზრდები ნატურალური მასალით საბავშვო სათამაშოებს

ამზადებენ. პროექტის მონაწილეები ჯერ კრეატიულ მოდელებს ქმნიან, მოგვიანებით ბიჭები ხის სათამაშოებს თლიან, ხოლო გოგონები, შექმნილ ნამუშევრებს ეკოლოგიურად სუფთა საღებავებით ღებავენ და ფუთავენ.

სათამაშოები ხისგანაა დამზადებული და პატარა ნაწილებად იშლება, რომელთა აწყობითაც პატარების გონება ვითარდება. სათამაშოების რეალიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სავაჭრო ქსელში იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს სახელოსნოში მომუშავე შშმ ახალგაზრდების სამომავლოდ დასაქმებას.

აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი“

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან აჭარის მაღალმთიანი რაიონები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად ინტეგრირებული დასახლებული პუნქტია, სადაც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს აქვთ მწირი ინფორმაცია, როგორც საკუთარი უფლებების, ასევე ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული უმთავრესი ღირებულებების შესახებ.

სწორედ ამიტომ, სათათბიროს გადაწყვეტილებით დაფინანსდა პროექტი, რომლის მიზანიც იყო აჭარის მაღალმთიანი რეგიონებში (ხულოსა და შუახევის რაიონები) მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, ზემოთ აღნიშნული რაიონების საჯარო სკოლებიდან მოხდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების შერჩევა. დაახლოებით 100-მდე ახალგაზრდას, კვალიფიციური ექსპერტების მიერ უტარდებოდათ საგანმანათლებლო ლექციები სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით.

გარდა თეორიული გაკვეთილებისა, ახალგაზრდებისთვის მოეწყო რამდენიმე გასვლითი ღონისძიება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, ისინი ადგილზე გაეცნენ საჯარო სამსახურების საქმიანობას, შეხვდნენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

ახალგაზრდული ინიციატივა კონფლიქტების ანალიზისა და ტრანსფორმაციისთვის

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი - საქართველო“

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამშვიდობო ინიციატივებითა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდების გამოვლენას.

პროექტში ჩაერთო 45 ახალგაზრდა, რომლებიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა სამშვიდობო პროექტში, ესწრებოდნენ საგანმანათლებლო ტრენინგებს და ორგანიზებას უწევდნენ სხვადასხვა აქტივობას.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ეწვივნენ ცნობილი ნორვეგიელი სოციოლოგი, ოსლოს მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის დამაარსებელი **იოჰან გალტუნგი** და ამერიკული დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი წარმომადგენელი **ჯონ მაკდონალდი**.

კულტურული სახლების რეაბილიტაცია მაღალმთიან რეგიონებში

ორგანიზატორები: არასამთავრობო ორგანიზაციები „სტეფანწმიდა“ და „ახალგაზრდა მისიმიელთა რეგიონი“

ფონდის ხელშეწყობით ყაზბეგისა და მესტიის რაიონში მოხდა კულტურული სახლების რეაბილიტაცია და მასში ახალგაზრდული საკრებულოებისა თუ ახალგაზრდული კლუბების დაარსება. ახალგაზრდულ სახლებში იმართება სხვადასხვა სახის კულტურული თუ საგანმანათლებლო ღონისძიებები. ამ მიმართულებით ფონდი განსაკუთრებით აქტიურად გააგრძელებს სამომავლოდ მუშაობას.

თანადგომა

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „კოჯრის ახალგაზრდული ასოციაცია“

კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლში სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით სატრენაჟორო დარბაზი გაიხსნა. ბავშვთა სახლში 26 აღსაზრდელია. ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ „კოჯრის ახალგაზრდული ასოციაცია“, გაარემონტა და ტექნიკურად აღჭურვა სავარჯიშო დარბაზი, დაიდგა ტრენაჟორები, მოწვეულმა სპეციალისტებმა 3 თვის მანძილზე სხვადასხვა ასაკის ბავშვებს სამასაჟე კურსები

ჩაუტარეს. ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის გაიმართა თეატრალური წარმოდგენები და კულტურული ღონისძიებები.

ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ახალგაზრდებს შორის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება და განმტკიცება

ორგანიზატორი: „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაცია“

პროექტის მიზანია საქართველოში უმცირესობებს მიკუთვნებულ წვევამდელთა და საშუალო სკოლის უფროს კლასელთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და განმტკიცების ხელშეწყობა; ქართულ არმიაში მსახურობისადმი ინტერესი გაჩენა.

შედეგად, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული წვევამდელებისა და საშუალო სკოლის უმფროსკლასელებისათვის მომზადდა სპეციალური სასემინარო პროგრამა, ჩატარდა ტრენინგები. პროექტის ბოლოს კი ახალგაზრდები დაესწრნენ ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) წვრთნებს კრწანისის სამხედრო ბაზაზე.

ჩემი ინიციატივა - მე აქტიური მოქალაქე

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“

პროექტის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ უშგულგუმში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის სახელწოდებით: „ჩემი ინიციატივა - მე აქტიური მოქალაქე“. მოეწყო სასკოლო კონფერენცია და გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა

დაბა ფასანაურში არაგვის სანაპიროზე სპორტული, რეკრეაციული ზონის მოწყობა

არასამთავრობო ორგანიზაცია „არაგველები“

პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობით დაბა ფასანაურის საკურორტო ზონაში დაირგო ხეები, გაკეთდა ქვიშის ფრენბურთის მოედანი, განლაგდა

მოსასვენებელი სკამები და სანაგვე ურნები, დამონტაჟდება საქანელები, სავარჯიშო მოწყობილობები (ტურნიკი, ორბელი, პრესის სავარჯიშო). შეიქმნა ისეთი გარემო პირობები, რომელიც აღნიშნულ ადგილს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის როგორც ადგილობრივ მცხოვრებლების, ისე დამსვენებლებისთვის.

ახალგაზრდული საფეხბურთო ფესტივალები

ორგანიზატორები: ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანსაღი თაობა“

ახალგაზრდული გაერთიანება „მარტვილი“

არასამთავრობო ორგანიზაცია: „ზესტაფონის განვითარებისა და აღორძინების ფონდი“

ფონდის ერთ-ერთი პროგრამული პრიორიტეტია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, საქართველოს რეგიონების წახალისება. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მასშტაბური ფესტივალები ჩატარდა ზესტაფონში, მარტვილსა და ახალციხეში.

ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ჯანსაღი თაობა“, რომელიც ახალციხეში 2007 წლიდან უწევს ორგანიზებას სპორტულ ღონისძიებებს ახალციხეში საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალი ჩაატარა, რომელსაც თან კულტურული ღონისძიებებიც ახლდა.

მესხეთის საფეხბურთო ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული 12 გუნდი იყო ჩართული. ფესტივალში ასევე მონაწილეობნენ ახალგაზრდული საფეხბურთო გუნდები მეზობელი სომხეთიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან. ფესტივალის გახსნის დღეს გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, ჩატარდა შემოქმედებითი საღამოები, მოეწყო რაბათის ციხის ტური და დასკვნითი კონცერტი.

ახალგაზრდული გაერთიანება „მარტვილის“ მიერ ჩატარებული საფეხბურთო ტურნირი მინი-ფეხბურთში უეფას მასობრივი ფეხბურთის დღეს მიემდგვნა.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო: საჯარო სკოლების ჭაბუკთა 34-მა და გოგონათა 24-მა გუნდმა. პროექტში, საერთო ჯამში, ჩართული იყო ხუთასზე მეტი მონაწილე. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ასევე საფეხბურთო ტურნირი გაიმართა ქალაქ ზესტაფონის შვიდი საჯარო და ერთი დამოუკიდებელი სკოლის 80-მდე მოსწავლის მონაწილეობით.

აღნიშნული ტურნირები ხელს უწყობს რეგიონებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას.

„მშვიდობის გზა“

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა მშვიდობისკენ“

სოფლები ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი და ზემო ხვითი მდ. ლიახვის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობენ - გორის მუნიციპალიტეტის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, კონფლიქტურ ზონაში და უშუალოდ ესაზღვრებიან ცხინვალისა და ყორნისის (ზნაურის) რაიონებს. სამივე სოფელი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის შემადგენლობაშია.

პროექტის ფარგლებში გაიმართება სპორტული ღონისძიებები - კერძოდ, შეჯიბრებები ველოსპორტში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრების თავისუფალი დროის მიზანმიმართულად გამოყენებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობას.

კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი და ქართული სამოსის დღე

ორგანიზატორი: ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია “შავფაროსნები”

29 სექტემბერს, თბილისში ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში რუსთაველის გამზირზე მასშტაბური მსვლელობა მოეწყო, სადაც "შავფაროსნებთან" ერთად, მონაწილეობა ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა დაინტერესებულმა პირებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მიიღეს.

მსვლელობის შემდეგ ღონისძიებები რიყის პარკში გაგრძელდა, სადაც ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელ წარმოდგენებთან ერთად, მოეწყო ქართველი მხედართმთავრების კუთხე, ქართველი მჭედლების ნამუშევრების, ასევე ქართული ტრადიციული სამოსის ესკიზების გამოფენა, ჩატარდა შეჯიბრი მშვილდოსნობაში, ძალის გამოცდაში, გაიმართა სხვადასხვა ტრადიციული თამაშობები.

ფესტივალის ფარგლებში საკუთარი ექსპონატები წარმოადგინეს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა და კასპის სამხარეო მუზეუმმა.

ფესტივალი, რომელიც საქართველოში პირველად გაიმართა ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს და მიზნად ისახავს ქართული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაციას. არსებობს იდეა, რომ ფესტივალის ფარგლებში დაწესდეს ეროვნული სამოსის დღეც.

პროექტი „ეგო - არტი“

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია“

პროექტმა „ეგო-არტი“ მოიცავს მთელი საქართველო. პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი პოეზიაში, პროზასა და ფოტოგრაფიაში. კონკურსში საქართველოს ყველა რეგიონი იყო ჩართული. საუკეთესო ავტორები, თითოეული რეგიონის სახე, კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა. ჟიურის თავმჯდომარეები იყვნენ: პოეზიაში - რობერტ მესხი, პროზაში - როსტომ ჩხეიძე, ფოტოგრაფიაში - მზია ლეკვიშვილი. პროექტის ბოლოს გაიმართა ლიტერატურული საღამო და ფოტოგამოფენა.

გამოიცა პროექტის ამსახველი კრებული. ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა 36 გამარჯვებული ახალგაზრდა.

პროექტის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდა ხელოვანების წახალისება, წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

გრაფიკული ნოველები საქართველოში

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „გრაფიკული სტუდია“

კომიქსები თანამედროვე სახვითი ხელოვნების ყველაზე პოპულარული დარგია. სამწუხაროდ, კომიქსების კულტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს საქართველოში. არადა, მთელ მსოფლიოში კომიქსი ფართოდაა გავრცელებული და მკითხველად ჩამოყალიბების პირველ საფეხურად ითვლება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტექნიკური ბაზა, რომელიც მომავალშიც მოხმარდება ნიჭიერი მხატვრების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლებას კომპიუტერული გრაფიკის სფეროში. კომიქსების სტუდიაში მათ საშუალება მიეცემათ იმუშაონ უმაღლესი ხარისხის ტექნიკასთან და მიიღონ ფასდაუდებელი გამოცდილება.

რაც მთავარია, ნოველები აკმაყოფილებენ ამ სფეროს მეტრების „MARVEL-ისა“ და „DC-ის“ მიერ დამკვიდრებულ გრაფიკულ სტანდარტს. ამ პროდუქტის მეშვეობით შესაძლებელია კომიქსები გაიცინოს ქართულმა საზოგადოებამ, და, ამავდროულად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოხდეს ქართული კულტურის გავრცელება და პოპულარიზაცია. გრაფიკული სტუდიაში უკვე მომზადდა „ვეფხისა და მოყმის“ იგავის ამსახველი კომიქსები. გრაფიკული ნოველები გავრცელდება ელექტონულად და ნამუშევრების ხილვა შეეძლება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მყოფ მკითხველს.

კვლევა შარეულას ხეობისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „განედი 42“

კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფონდი აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს, ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიულ განვითარებას.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი ქმნილებებიდან, ქვემო რაჭაში მდებარე შარეულას ხეობა-კანიონი, გეოლოგიური გენეზისით, გეომორფოლოგიური ხასიათით, ლანდშაფტური თავისებურებებით და სილამაზით ერთ-ერთი გამორჩეულია.

პროექტის მიზანი იყო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებისა და მიმართულების მეცნიერების, პედაგოგებისა და სტუდენტების ჩართულობით გარკვეული სამეცნიერო კვლევების ჩატარება, რომელთა საფუძველზე მომზადდა დოკუმენტაცია-დასაბუთება შარეულას ხეობის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საბოლოოდ, შედგა პროექტის პრეზენტაცია, ფოტოგამოფენა და პროექტის ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია. კვლევის შედეგად მომზადებული რეკომენდაცია შარეულას ხეობისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გაეგზავნა სათანადო სახელმწიფო უწყებებს.

ხვამლის მთის შესწავლა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია „ხვამლის ამქარი“

ახალგაზრდობა არასაკმარისადაა ჩართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევაში. მათი ნაწილი, რომელსაც სპეციალური განათლება აქვს, ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას სამეცნიერო კვლევებში, რის გამოც იქმნება საფრთხე, რომ მათ სხვა სფეროში გააგრძელონ მოღვაწეობა. ხვამლისა მთისა და მიმდებარე არქეოლოგიური ძეგლების კვლევა ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთერთი გზაა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია ბუნებისადმი მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება, რისი გამოსწორება შესაძლებელია საველე პირობებში ქვეყნის ნორმების გაცნობით, კულტურული და ეკოტურიზმის პოპულარიზაციის გზით.

ახალგაზრდა არქეოლოგების მონაწილეობით ჩატარდა ხვამლის მთის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა: მეცნიერებმა შეისწავლეს უძველესი საკულტო ნაგებობები; “მეფეთა საგანძურის“ ქვაბები; მოხდა ხვამლის მთის გარშემო არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაცია.

აღმოჩენილია უძველესი ხელსაწყოები და სხვა სახის არქეოლოგიური მასალა, რომლის შესწავლაც უახლოეს მომავალში, პროექტის ფარგლებში იგეგმება

მოგვიანებით, ცაგერის რაიონის სოფელ ტვიში ხვამლის მთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა. პროექტში მეცნიერებთან ერთად ჩართულები არიან მოხალისეები ბედიანის ბავშვთა სახლიდან და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მოგზაურთა კლუბიდან.

ხვამლის მთის ისტორიისა და პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ მომზადდა დოკუმენტური ფილმი.

თიანეთის მომავალი

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია - „თიანეთის ახალგაზრდები“

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის კიდევ ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდული მედიის განვითარებაა, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში.

„თიანეთის მომავალი“ - ასე ჰქვია გაზეთს, რომლის სარედაქციო კოლეგია ადგილობრივი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტდა. ისინი ყოველთვიურად მოამზადებენ გაზეთის ახალ ნომრებს და რაიონის მასშტაბით ყველა სოფელში გაავრცელებენ. თიანეთი მაღალმთიანი რაიონია, რომლის ზოგიერთ სოფელშიც ზამთრის განმავლობაში მისასვლელი გზა იკეტება და აღარ არსებობს კომუნიკაციის საშუალებები მუნიციპალიტეტსა და სოფლებს შორის. ხოლო, ინტერნეტი მიეწოდება მხოლოდ დაბას და რამდენიმე სოფელს. სწორედ ამიტომ, ფონდის მიერ დაფინანსდა პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის საშუალებების ზრდას, საჭირო ინფორმაციის ყველაზე უფრო შორეულ სოფლამდე მიტანას, ადგილობრივი ახალგაზრდა პოეტების, მწერლების მიერ შექმნილი ნაწარმოებების გაზეთში განთავსებას, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიცნოს და დააფასოს მათი შემოქმედება.

ხელოვანების თვალთ დანახული 90-იანი წლების საქართველო

ორგანიზატორი: „ახალგაზრდა ხელოვანთა და კურატორთა კავშირი“

ახალგაზრდა ხელოვანების ორგანიზებით ოქტომბრის დასაწყისში, ყოფილი რედაქციის შენობაში ერთკვირიანი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სპეციალურად 1990-იანი წლების თემაზე შექმნილი ნამუშევრები. გამოფენაზე გამოყენებული იყო: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტო, ვიდეო-არტი, ინსტალაციები და მუსიკალური გაფორმება.

თანამედროვე არტისტების ჯგუფის მიზანი იყო, საზოგადოებისთვის უახლესი ისტორიისადმი თითოეული მონაწილის დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით გაეცნო.

გამოფენის გახნის შემდეგ გაიმართა საჯარო დისკუსიები მონაწილე ხელოვანებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად.

ოქტომბრის ბოლოს, თბილისის შემდეგ გამოფენა თელავშიც გაიმართა.

სოციალური მეწარმეობა

კალიგრაფიის სოციალური საწარმოები

ორგანიზატორები: თბილისი - არასამთავრობო ორგანიზაცია „თაბონი“

სვანეთი, ჭუბერი - არასამთავრობო ორგანიზაცია - „შდავლერ“

საქართველოში დღეისათვის ხელოვნების თითქმის ყველა ტრადიციული დარგი აღორძინდა, ესენია: თექა, ბატყა, ხეზე კვეთა, ხატწერა, ჭედურობა, მინანქარი... ვითარდება და, ამავდროულად, ინახება ქართული ცეკვა, სიმღერა, საკრავები, შესამოსელი, საბრძოლო ხელოვნება... ქართველ ერს ხალხური რეწვის მდიდარი და საუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. ხელნაკეთი შემოქმედება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. მისი ყოველი დარგი - ქსოვა, კერამიკა, ხეზე კვეთა, საიუველირო ნაკეთობანი - გამოირჩევა განსხვავებული და მრავალფეროვანი ტექნიკით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი, რომლითაც ისტორიულად ქართული ხელოვნება განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევდა ქართული კალიგრაფიაა. უნიკალური და სამფეროვანი (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) ქართული ანბანი და ქართული კალიგრაფია მსოფლიო კულტურის მონაპოვარია. სამწუხაროდ, თანამედროვეობამ, ტექნიკის განვითარებამ, ხელით წერის კულტურა დაგვავიწყა. არადა კალიგრაფია ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია.

ფონდის დაფინანსებით მიმდინარე წელს ორი კალიგრაფიის სოციალური სახელოსნო შეიქმნა, ერთი დედაქალაქში, ხოლო მეორე - ზემო სვანეთში, ჭუბერის რაიონში.

სახელოსნოებში, ახალგაზრდა კალიგრაფები აქტიურად მუშაობენ, ასომთავრულ და ნუსხურ ანბანს ასწავლიან დაინტერესებულ ადამიანებს; ამავდროულად, კალიგრაფიული ხელით, თიხის, მუყაოსა თუ კერამიკის ფაქტურაზე ამზადებენ ულამაზეს სუვენირებს, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ გავრცელდება ქართულ სასუვენირო ბაზარზე.

კალიგრაფიის სოციალური სახელოსნოები, ერთი მხრივ, ხელს უწყობს აღნიშნული დარგის განვითარებას, მეორე მხრივ, ახალგაზრდა ხელოვანების დასაქმებას.

მომავალში, კალიგრაფიული სუვენირებით მიღებული თანხის ერთი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ ბავშვებს მოხმარდება.

ახალგაზრდები მდგრადი აგრარული და გარემოსდაცვითი განვითარებისათვის

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია "სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა"

ხუთი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში ახალი - პალმეტური მეთოდით - გაშენდა ხეხილის ინტენსიური ბაღი.

პალმეტური მეთოდით ხეხილის ბაღების გაშენება ინოვაციურია საქართველოსთვის. აღნიშნული მეთოდი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია გავრცელებული და ხელს უწყობს მწირი მიწიანი ბაღების ოპტიმალურად დატვირთვას.

მცირე ტერიტორიაზე მჭიდროდ გაშენებული ბაღები, ვიზუალურადაც საინტერესო სანახავია. ხეხილის ბაღები მოხალისე ახალგაზრდების მიერ გაშენდა და შემოსული მოსავალი სოციალურად დაუცველ ბავშვებს მოხმარდება.

პროექტის ფარგლებში აშენდა მცირე საგანმანათლებლო ცენტრიც, გამოიცა ბეჭდური მასალა. პროექტის ორგანიზატორებმა დაინტერესებულ ახალგაზრდებს ჩაუტარეს ტრენინგები სხვადასხვა რეგიონში აღნიშნული მეთოდის პოპულარიზაციის მიზნით.

საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერის პროგრამა

„აღმოსავლეთ ევროპის საზაფხულო სკოლა“

ორგანიზატორი: არასამთავრობო ორგანიზაცია: „ახალგაზრდული მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის“

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა - ასე ჰქვია პროექტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ: „ახალგაზრდული მოძრაობა ადამიანის უფლებებისთვის“ ფონდის პირველი საგრანტო კონკურსის ფარგლებში განახორციელა.

პროექტში მონაწილეობა მიიღებო ოცმა ახალგაზრდამ შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. ისინი 200-ზე მეტი კონკურსსატიდან შეარჩიეს. მონაწილე ქვეყნებია: საქართველო, უნგრეთი, პოლონეთი, ნორვეგია, ირლანდია, შვედეთი, საფრანგეთი, უკრაინა, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლექციები, სემინარები და დებატები მრავალი მაგიდის ფორმატში. ლექციები წაიკითხეს უცხოელმა და ქართველმა ლექტორებმა. საზაფხულო სკოლის აკადემიური პროგრამა შემდეგ სალექციო თემებს მოიცავდა: ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობები, მათი პროგრესი ევროკავშირისკენ სვლის პროცესში; ევროკავშირისა და რეგიონის თითოეული წევრი ქვეყნის ურთიერთობები (ინდივიდუალური სამოქმედო გეგმებისა თუ სხვა სახის თანამშრომლობის განხილვის გზით); ინტერრეგიონული თანამშრომლობის ისტორია და ეთნო-კულტურული ურთიერთობები; შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა; რეგიონის შიდა სავაჭრო ურთიერთობები; სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან; მიგრაციის პოლიტიკა; რეგიონის კონფლიქტები და უსაფრთხოების სხვა გამოწვევები; რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები და ა.შ. საზაფხულო სკოლის ბოლოს, ჩატარებული ლექციების საფუძველზე, სკოლის მსმენელებმა შეარჩიეს თემები და უახლოეს მომავალში მოამზადებენ ანალიტიკურ სტატიებს. შედეგად, შეიქმნება 20 ახალი მიმოხილვა რეგიონში მიმდინარე აქტუალური საკითხების შესახებ. სტატიები ერთ კრებულში გაერთიანდება. მოგვიანებით, აღნიშნული პუბლიკაციების პრეზენტაცია შედგება სხვადასხვა ქვეყანაში, სკოლის მსმენელთა სასწავლო დაწესებულებებში. რაც გაზრდის სკოლის ცნობადობას საქართველოს ფარგლებს გარეთ და ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის ახალგაზრდებს შორის დიალოგის გააქტიურებას. საზაფხულო სკოლის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ბაკურიანში, სასტუმრო „თბილისში“ 1 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა.

საქველმოქმედო კამპანია

საგრანტო კონკუსების პარალელურად ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა მიმდინარე წლის მანძილზე საქველმოქმედო კამპანია წამოიწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა.

საქველმოქმედო აქცია-კონცერტი

2 აპრილს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გაიმართა.

პროექტი გალის რაიონის სკოლების დასახმარებლად ჩატარდა. ღონისძიების მიზანი იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდობისთვის სასწავლო პირობების გაუმჯობესება, ვინაიდან, სკოლებში არ არსებობს გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მწირია სასკოლო ბიბლიოთეკები და ა.შ.

ღონისძიება რამდენიმე კომპონენტს მოიცავდა: **კონცერტს, დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციასა და გამოფენას.**

კონცერტის მსვლელობისას მაცურებლებს მიესალმნენ პროექტის ორგანიზატორები – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჟოლიანი და დირექტორის მოადგილე მურმან პატარაია.**

კონცერტში მონაწილეობდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები და ანსამბლები: თემურ წიკლაური, ლაშა ღლონტი, დავით არჩვაძე, ანსამბლები: „შვიდკაცა“, „თსუ-გორდელა“, „ბასიანი“, „ჰერულა“, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ტრიო „ქალაქური“.

კონცერტის მსვლელობისას შედგა **დოკუმენტური ფილმის პრეზენტაციაც.** ფილმი გალის რაიონის საგანმანათლებლო ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას მიეძღვნა, სადაც გამოყენებული იყო მნიშვნელოვანი ვიდეო და ფოტო მასალა არქივებიდან, ასევე სკოლებისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ამჟამინდელი ვითარების ამსახველი ექსკლუზიური კადრები.

ღონისძიების დაწყებამდე გაიმართა **გამოფენა.** დამთვალიერებელმა ერთ საგამოფენო სივრცეში იხილა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრები და გალის რაიონის 31 მოქმედი სკოლის თემატური ბანერები, მცირე ტექსტებითა და ვიზუალური მასალით.

ღონისძიებაზე სკოლების დასახმარებლად გამოცხადდება მაგთის, ბილაინისა და ჯეოსელის სპეციალური ნომერი: 1 901 901 915, სადაც ჩარიცხული თანხა საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა, აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და კომპანია “სამოსელი პირველის” მხარდაჭერით.

სტუმრად მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში

სხვადასხვა დროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის წარმომადგენლები სტუმრობდნენ დედაქალაქში მოქმედ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებს. პატარებთან მიჰქონდათ სიმბოლური საჩუქრები, მზადდებოდა მცირე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, ინტერესდებოდნენ ბავშვთა სახლების საჭიროებებით და, შეძლებისდაგვარად, სხვადასხვა კუთხით ცდილობდნენ მათ დახმარებას.

ბიბლიოთეკა განმუხურის სკოლისთვის

საქველმოქმედო ფონდ „იავნანასთან“ ერთად მომზადდა მცირე აქცია სოფელ განმუხურის საჯარო სკოლის მოსწავლეების დასახმარებლად. სკოლის ისედაც მწირი მატერიალურ ტექნიკური ბაზა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განადგურდა. განათლების რეფორმის მიხედვით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გასავლელად სკოლას აუცილებელია ჰქონდეს მდიდარი წიგნადი ფონდი, მეორე მხრივ, კარგი სასკოლო ბიბლიოთეკის არსებობა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია მოსწავლეების წიგნიერების დონის ასამაღლებლად.

განმუხურის სკოლის ბიბლიოთეკის შესაქმნელად ფონდი დაუკავშირდა სხვადასხვა გამომცემლობასა თუ ორგანიზაციას.

24 აპრილს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი **ირაკლი ჟორჟოლიანი** და დირექტორის მოადგილე **მურმან პატარაია** განმუხურის საჯარო სკოლას ეწვივნენ და ფონდის მიერ შეგროვებული 1000-ზე მეტი წიგნი გადასცეს. წიგნები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, ლიტერატურის მუზეუმის, კინოსა, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა და სხვადასხვა გამომცემლობის მხარდაჭერით შეგროვდა.

სამომავლოდ, ფონდი აქტიურად გეგმავს საქველმოქმედო კამპანიის გაგრძელებას, სამიზნე ჯგუფებია: ოკუპირებულ ზონაში, ასევე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები.

ბიბლიოთეკა მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს

ბარბარობის დღესასწაულზე, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი **ირაკლი ჟორჯოლიანი** და ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **გიორგი კეკელიძე** მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ „ბელურებს“ ესტუმრნენ და ცენტრის აღსაზრდელებს ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს.

წინასახალწლოდ ფონდისა და ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ცენტრის აღსაზრდელებს ტკბილეული და წიგნები მიუტანეს. ეროვნული ბიბლიოთეკისა და გამომცემლობა „საუნჯის“ მხარდაჭერით ცენტრში არსებული ბიბლიოთეკა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაზე გათვლილი 400 წიგნით გამდიდრდა.

ღონისძიება კარალეთის ლიტერატურულ კლუბში

გორის რაიონის სოფელ კარალეთში მდებარე ლიტერატურულ კლუბში, რომელიც 2012 წელს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დაფინანსებით შეიქმნა, 2013 წელს რამდენიმე ღონისძიება ჩატარდა.

ლიტერატურული კლუბი სოფელ პატარა გარეჯვრის საბავშვო ბაღის შენობაშია განთავსებული. ფონდის დაფინანსებით პროექტის ორგანიზატორებმა კლუბის გარემონტება და მოწყობა შეძლეს, ასევე შეიძინეს კომპიუტერული ტექნიკა და სასწავლო ლიტერატურა. კარალეთის თემის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, 2013 წელს ფონდმა კიდევ ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი დააფინანსა.

დამოუკიდებელი ინიციატივები

„ბავშვობა ყველა ბავშვისთვის“

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის დაფინანსებით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ახორციელებს პროექტს „ბავშვობა ყველა ბავშვისთვის“. ესაა დამატებითი დაფინანსების მიღების პირველი შემთხვევა ფონდის

არსებობის მანძილზე, პირველი პროექტი, რომელიც საქართველოში მოქმედ დონორ ორგანიზაციასთან/ფონდთან ერთად ხორციელდება.

პროექტის მთავარი მიზანია იმ პრობლემების წარმოჩენა და ადვოკატირება, რომელიც სმენა და მეტყველება შეზღუდული ბავშვების სკოლამდელი განათლების პრობლემებს შეეხება.

პროექტის ფარგლებში მზადდება დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს არსებულ პრობლემებს. პროექტის ბოლოს გაიმართება ფილმის პრეზენტაცია, ფოტო-გამოფენა და სამუშაო შეხვედრა სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან.

პროექტის მთავარი მიზანია, რეკომენდაციების მომზადება სმენა და მეტყველება შეზღუდული ბავშვების სკოლამდელი განათლების საკითხებთან დაკავშირებით. პროექტის პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველო“.

რეგიონული საინფორმაციო კამპანიები

ბოლო ერთი წლის მანძილზე ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ორი მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. აღნიშნული ღონისძიების მიზანი ერთი მხრივ, პოტენციურ ბენეფიციართა საჭიროებების კვლევა, მეორე მხრივ კი, ფონდის საგრანტო კონკურსების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება იყო.

საუნივერსიტეტო კვირეული

24-დან 27 დეკემბრის ჩათვლით ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა საუნივერსიტეტო კვირეული ჩაატარა. კვირის მანძილზე ფონდის დირექტორი **ირაკლი ჟორჟოლიანი** და დირექტორის მოადგილე **მურმან პატარაია** სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ხვდებოდნენ, როგორც დედაქალაქში ისე რეგიონებში.

ფონდის მიზნებისა და საქმიანობის პრეზენტაციის შემდეგ შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში გრძელდებოდა.

საუნივერსიტეტო კვირეულის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ფონდის საქმიანობის გაცნობა, 2013 წლის პრიორიტეტების განსაზღვრაში ახალგაზრდების მონაწილეობა და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობათა განხილვა. სტუდენტებთან ფონდის წარმომადგენელთა შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

რეგიონული საინფორმაციო კამპანია

5 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა უპრენცენდენტო რეგიონული კამპანია ჩაატარა. ფონდის წარმომადგენლები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შეხვდნენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფონდთან თანამშრომლობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს და მედიის წარმომადგენლებს.

რეგიონული კამპანიის მიზანი იყო ფონდის მიერ სპეციალურად რეგიონებისთვის გამოცხადებული იდეების კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემების, ინიციატივებისა და სურვილების გაზიარება.

საბოლოოდ, ფონდის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს 70-ზე მეტ მუნიციპალიტეტში, 5 000-მდე დაინტერესებულ ახალგაზრდასთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან. შედეგად, იდეების კონკურსი აღმოჩნდა ყველაზე მასშტაბური ფონდის ისტორიაში. შემოსული განაცხადების რაოდენობამ, საქართველოს ყველა რეგიონიდან ორასს გადააჭარბა. მათგან 25 საუკეთესო დაფინანსდა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მედიასთან ურთიერთობა

2013 წელს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი განსაკუთრებით გააქტიურდა მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით. ფონდის მიერ დაგეგმილი თუ მიმდინარე კონკურსების, პროგრამებისა თუ აქტივობების შესახებ ინფორმაცია პერიოდულად ვრცელდებოდა სხვადასხვა არხის გადაცემებსა თუ საინფორმაციო გამოშვებებში.

ტელეკომპანია მეცხრე არხთან ერთად ფონდმა საინტერესო რუბრიკაც მოამზადა. ორი თვის განმავლობაში მეცხრე არხის დილის გამოშვებაში, კვირაში ორჯერ მზადდებოდა პირდაპირი ჩართვა დედაქალაქიდან თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ამავდროულად, სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობნენ მიმდინარე პროექტებზე. ამრიგად, თითოეული ჩართვა და სტუმრობა ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ კონკრეტულ პროექტს ეძღვნებოდა.

საერთო ჯამში, ორი თვის მანძილზე მომზადდა 16 სატელევიზიო გადაცემა,

მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე, მედიაში ხსენების სიხშირის მიხედვით, ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდი გახდა ლიდერი სახელმწიფო ახალგაზრდული უწყება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფონდთან მიმართებაში მედიის აქცენტი დღემდე მხოლოდ პოზიტიური ან ინფორმაციულია.

ფონდის ახალი საიტი

მიმდინარე წელს იხვეწებოდა და ინფორმაციულად ივსებოდა ფონდის ძველი ვებ-გვერდი. შედეგად, წლის ბოლოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა საზოგადოებას ახალი საიტი: www.fondi.gov.ge წარუდგინა.

საიტის მოქნილი სტრუქტურა დაინტერესებულ ადამიანებს საშუალებას აძლევს მარტივად მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. ფონდის ვებ-გვერდზე განთავსებულია განახლებული საგრანტო აპლიკაციის ფორმა, რომელიც საგრანტო კონკურსებში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს უმარტივებს პროექტების წარდგენის პროცედურებს. საგრანტო აპლიკაცია საიტზევე ივსება და იგზავნება პროექტების სარეგისტრაციო ბაზაში.

საიტი ორენოვანია (ქართული და ინგლისური ენები) მუდმივად განახლებადი ინფორმაციით, ხარისხიანი ფოტო და ვიდეო მასალით.

სოციალური ქსელი

ფონდის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“. ეს უკანასკნელი ფონდის საქმიანობით დაინტერესებული საზოგადოების მოსაზრებების, შენიშვნებისა თუ სურვილების გაგების საუკეთესო საშუალებაა. ამავდროულად, სოციალურ ქსელებში, მუდმივი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის მიწოდება ფონდის პოტენციური ბენეფიციარებისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობა

2013 წელს ფონდი განსაკუთრებით გააქტიურდა საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. შედგა სამუშაო შეხვედრები საქართველოში მოქმედ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან, გაფორმდა მემორანდუმები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მემორანდუმები

- რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი

16-18 მარტს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჯოლიანი სამუშაო ვიზიტით იტალიაში, ქალაქ ფლორენციაში იმყოფებოდა.

16 მარტს ვიზიტის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდსა და რომულდო დელბიანკოს ფონდს შორის მემორანდუმი გაფორმდა. შედეგად, დაიგეგმება ერთობლივი, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები, როგორც საქართველოში, ასევე იტალიაში. რომულდო დელბიანკოს ფონდი პროექტებს მსოფლიოს 77 ქვეყანაში ახორციელებს, თანამშრომლობს 500-ზე მეტ სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებასთან.

- **ამერიკის მშვიდობის კორპუსი**

16 აპრილს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოში მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებთან გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში ნოემბერში ფონდს მშვიდობის კორპუსის მოხალისე ეწვია, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში იქნება ჩართული ფონდის საქმიანობაში.

- **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი**

29 აპრილს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზნებია: მხარეებს შორის რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, ერთობლივი ინიციატივების განხორციელება, საერთო პრიორიტეტების გამოვლენა და ამ პრიორიტეტების ირგვლივ კოორდინირებული მუშაობა.

ევროპის მოხალისეობრივი სამსახურის აკრედიტაცია

25 აპრილს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა **ევროპის მოხალისეობრივი სამსახურის სამწლიანი აკრედიტაცია წარმატებით გაიარა**. აკრედიტაციის ფარგლებში ფონდს შესაძლებლობა მიეცა მიიღოს ევროპელი მოხალისეები საქართველოში, ამავედროულად, შეარჩიოს და გაგზავნოს მოხალისეები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ხოლო ფონდის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ მოხალისეობრივი სამსახურის კოორდინატორების ყოველწლიურ შეხვედრებში, რომლებიც პროგრამაში ჩართულ ქვეყნებში იმართება.

„ევროპის მოხალისეობრივი პროგრამა“ მიზნად ისახავს: ახალგაზრდობაში საერთაშორისო მოხალისეობრივი სამსახურის ხელშეწყობას; ახალგაზრდებს შორის ტოლერანტობისა და სოლიდარობის ზრდის ხელშეწყობას; ახალგაზრდობაში აქტიური მოქალაქეობისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობას.

ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი

14 ივლისს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ორგანიზებით თსუს პირველი კორპუსის სასამართლო დარბაზში ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესების შეჯიბრი გაიმართა. შეჯიბრში მონაწილეობდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის გუნდები.

პროექტისთვის სპეციალურად შეიქმნა ჰიპოთეტური სასამართლო საქმე, რომლის მხარეებს (პირებს და სახელმწიფოს) ერთმანეთში აქვთ დავა სხვადასხვა საკითხზე. აღნიშნული დავა გასაჩივრებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (Court of Justice of the European Union).

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამერიკის, ესტონეთისა და ლატვიის საელჩოები; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

პროექტისათვის ქეისი, წესები და პროცედურები შეადგინა ანდრია ნადირაძემ (საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო).

გამარჯვებულ გუნდებს სიგელები და პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ დაწესებული ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის

განვითარების ფონდის სამომავლო გეგმები

2014 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის სამოქმედო სტრატეგიას რომელიც შემდეგ მიმართულებებზე იქნება ორიენტირებული:

1. ორგანიზაციული განვითარება

- პროექტების მართვისა და მონიტორინგის სამსახურის გაძლიერება;

- პროგრამული სამსახურის გაძლიერება და პროექტების ადმინისტრირების კუთხით საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
- საგრანტო კონკურსის პროცედურების დახვეწა - პროექტების მიღების წესის გამარტივება (საკანონმდებლო ინიციატივების ჩათვლით) რომელიც ახალგაზრდებში ფონდის რესურსების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს;
- სათათბიროს გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გაზრდა;
- ფონდის მარკეტინგული სტრატეგიის დახვეწა და ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მისი პოპულარიზაცია; ახალი ვებ-გვერდის შექმნა;

2. პრიორიტეტები

პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი საჭიროებათა კვლევის საფუძველზე გამოავლენს საორიენტაციო მიმართულებებს.

ამავდროულად, უპირატესობა მიენიჭება, მაღალმთიან, საზღვრისპირა და კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს;

1. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო ღირებულებების პოპულარიზაცია;
 - განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების ხელშეწყობა (იძულებით გადაადგილებული პირები, მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები);
 - ახალგაზრდული მედიის განვითარება (ახალგაზრდული პრობლემების გაშუქება, უახლესი მედია ვებ-ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების დანერგვა);
 - ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა;

(მულტიკულტურული დიალოგი, ბილინგვური სწავლების ხელშეწყობა და ქართული ენის პოპულარიზაცია);

2. გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა

- არაფორმალური განათლების დანერგვა, ეკოლოგიური უნარ-ჩვევების ამაღლება
 - ეკოტურიზმის ხელშეწყობა
 - ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია
3. სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების წახალისება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;
4. კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა
- კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა;
 - ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება
 - სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების ორგანიზება
5. ახალგაზრდული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა;
6. სოციალური მეწარმეობა

3. ფონდების მოძიების სტრატეგიის გაუმჯობესება

ამ თვალსაზრისით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი იზრუნებს გრანტების მოძიების და საერთაშორისო სამსახურის გაძლიერებაზე; დაამყარებს მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა ფონდთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

4. ფონდთან არსებული ტრენინგ-ცენტრის დაფუძნება

ფონდის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ფონდთან არსებული ტრენინგ ცენტრის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობში პროექტის წერის, ფონდების მოძიების და პროექტების მართვის უნარ-ჩვევების ამაღლებას.

5. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა:

2014 წელს ფონდი იზრუნებს, რომ სამინისტროსთან ერთად მხარი დაუჭიროს ქვეყანაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.

ამგვარად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2014 წლის სტრატეგია კვლავაც ორიენტირებული იქნება ახალგაზრდობის მდგრად განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე.